ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №201015

ნომერი: AR149268

თარიღი : 08.05.2012

გაცემის თარიღი : 06.06.2012

გაცნობის თარიღი : 08.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხვია დვალი პ/ნ 38001004585
- საჩხერე ს. საირხე

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №1/250 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 08 მაისს №Aღ149268 განცხადებით მომართა შპს "ფინსერვისი-XXI"-ის (ID 205030214) აღმასრულებელმა დირექტორმა ვეფხვია დვალმა და მოითხოვა 2006 წლის 28 ივნისის №1/250 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2006 წლის 28 ივნისს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, მთაწმინდა-

კრწანისის რაიონში, კოჯრის გზატკეცილი №5-ში სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) დამხმარე სასაწყობო შენობების (გენერატორი) ასაშენებლად დამტკიცდა №1/250 ქალაქთმშენებლობითი პირობები.

აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 680 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: №01.15.07.007.001. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას ქალაქთმშენებლობით პირობებში. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 2531 კვ.მ.-ს საკადასტრო კოდით №01.15.07.007.028 (საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882011632018; მომზადების თარიღი 03.01.2012წ.; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 28.12.2011წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. იმ დროისათვის მოქმედი "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება არის საქართველოს კანონმდებლობით, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, მიწის ნაკვეთზე განთავსებას, აგრეთვე მისი დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა პირობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და, ვინაიდან, საპროექტო ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №1/250 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 680 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 2531 კვ.მ, საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.15.07.007.028 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად;
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №1/250 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882011632018; მომზადების თარიღი 03.01.2012წ.; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 28.12.2011წ.);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 28 ივნისის №1/250 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.